საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-14/1138

1138-14-2-201903201725

20/03/2019

GRASS REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 28
25 03 2019 წ.

FactCheck.ge-ს რედაქტორს,
დავით ქუტიძეს
მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N75ბ
ასლი: ვალერი კვარაცხელიას
ტელ: 577 054121
ელ. ფოსტა: v.kvaratskhelia@iset.ge

ბატონო დავით,

საქართველოს ეროვნულ ბანკში თქვენ მიერ წარმოდგენილ 2019 წლის პირველი და 07 მარტის (რეგისტრაციის N1-14/2842; 04.03.2019; N1-14/2983; 07.03.2019) წერილებთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ეროვნულ ბანკში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, მონეტარული პოლიტიკის, სტატისტიკური ან/და საფინანსო სექტორის სტაბილურობის მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება გარკვეული, გონივრული ვადით კონფიდენციალურად გამოცხადდეს. ასეთი ინფორმაციის ნუსხას, შეზღუდვის ვადას და ინფორმაციის გაცემის წესს განსაზღვრავს ეროვნული ბანკის საბჭო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ:

1) ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტის 5 და მეტ წელზე პერიოდის შესახებ შემოწმება ეროვნული ბანკის ინიციატივით განხორციელდა 3 (სამი) შემთხვევაში და დაინტერესებული პირის მომართვის საფუძველზე 1 (ერთი) შემთხვევაში;
2) სსიპ - ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მხრიდან ფიქსირდება 1 (ერთი) მომართვა 5 და მეტი წლით ადრე დასრულებული ტრანზაქციის შესწავლის ინიციატივით და ეროვნულმა ბანკმა შეისწავლა აღნიშნული ტრანზაქცია.

წერილში მითითებული ინფორმაცია, დღეისათვის, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებიდან გამომდინარეობს, რადგან თქვენს მიერ მოთხოვნილი გარკვეული ინფორმაცია განადგურებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პატივისცემით,

თორნიკე ებანოიძე

განყოფილების უფროსი
სამართალშემოქმედების და სასამართლოებში წარმომადგენლობის განყოფილება